



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 165
20/01/2016

165-09-2-201601201225



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 თავის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტები ვალდებულია განახორციელოს 2016 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანადაფინანსებისათვის გამოიყოს 50000 ლარი. ასევე მოწესრიგდეს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურების ფონდი 102500 ლარით . ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს 2016 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

პატივისცემით,

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ზაზა ურუშაძეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსის მ/შ თამაზ იმედაიშვილის

განმარტებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 თავის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტები ვალდებულია განახორციელოს 2016 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანადაფინანსებისათვის გამოიყოს 50000 ლარი. ასევე მოწესრიგდეს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურების ფონდი 102500 ლარით . ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს 2016 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

პატივისცემით,

საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსის მ/შ: 

თამაზ იმედაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დასკვნა

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სიტყვიერი მოთხოვნის შესაბამისად, განვიმარტავთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით, იურიდიულ სამსახურს სამართლებრივი ხასიათის შენიშვნა არ გააჩნია.

იურიდიული სამსახურის უფროსი:



შ. ჩაგუნავა